["დინამო"(თბილისი)–"ოლიმპია (ქ. ლიუბლიანა, იუგოსლავია) 4:0 (1:0)]

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 18 თებერვალი.

"დინამო"(თბილისი)–"ოლიმპია (ქ. ლიუბლიანა, იუგოსლავია) 4:0 (1:0).

"დინამო": გოგია (გაბელია), ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (მინაშვილი), მ. მაჩაიძე (ბაზაზაშვილი), კოპალეიშვილი, გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი (დურდიაძე), შენგელია.

"ოლიმპია": დალანოვიჩი, დოგანჩიჩი, ისკრა, კომლიანოვიჩი, ტომიჩი, სამატოვიჩი, ამერშეკი, ლალოვიჩი, ვოლიჩი, რადულოვიჩი, ჩალასანი.

მსაჯი გ. ბაქანიძე (თბილისი).

როცა ფეხბურთი-78-ის პირველ ოფიციალურ მატჩამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა (ფეხბურთის გულშემატკივრისათვის პირიქით, უსაშველოდ გრძელდება ეს, ეგრეთწოდებული მკვდარი სეზონი), ამგვარი ამხანაგური შეხვედრები ყოველთვის სასარგებლოა, თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ძირითად შემადგენლობაში გამოყვანა, მაყურებელთან შეჩვევა თანდათან და უმტკივნეულოდ სწორედ ასეთ მატჩებშია შესაძლებელი. მეორე დადებითი მხარეა ერთობ მცირე ერთობ მცირე ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვა, რაც დამამშვიდებლად მოქმედებს კოლექტივზე და ახალი სეზონის მზადებისათვის მზადების პროცესს ნაკლებად უშლის ხელს.

გუშინდელი მატჩი ”ოლიმპიასთან” ასეთიც იყო. მინდორზე ვიხილეთ სამი ახალგაზრდა ფეხბურთელი(უნდა ითქვას, რომ სამივემ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა), "დინამომ" გვარიანად ივარჯიშა და არც ტრავმები ყოფილა.

ქართველ ფეხბურთელთა უპირატესობა საგრძნობი იყო. მერვე წუთზე გუცაევმა მოატყუა იუგოსლაველთა მცველები, დარტყმაც ზუსტი გამოდგა - 1:0. თამაშის პირველ ნახევარში დინამოელებს კიდევ ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. მეორე ტაიმში, მიუხედავად იმისა, რომ მინდორი დასტოვეს წამყვანმა მოთამაშეებმა, თბილისელებმა შეძლეს კიდევ ერთი გოლის გატანა - 49-ე წუთზე უყურადღებოთ ითამაშეს "ოლიმპის" მცველებმა, ამით ისარგებლა შენგელიამ და... – 2:0.

ხვალ რუსთავში ეს გუნდები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

“ლელო”, 19.02.78